ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №33
2014 წლის 10 ოქტომბერი

ქ. ნინოწმინდა

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ე“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობა თანახმად დანართისა.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ'' ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 აგვისტოს №19 დადგენილება (სსმ ვებგვერდი: 15.08.2014).

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე სუმბატ კიურეღიანი

დანართი

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები

№	თანამდებობა	თანამდებობრივი სარგო (ლარებში)
1.	საკრებულოს თავმჯდომარე	2650
2.	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1700
3.	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	1350
4.	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	1350
	საკრებულოს აპარატი	
5.	წამყვანი საჯრო თანამდებობის პირი - საკრებულოს აპარატის უფროსი	1000
6.	უფროსი საჯარო თანამდებობის პირი - საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე	790
7.	უფროსი საჯარო თანამდებობის პირი - მთავარი სპეციალისტი	560